ხელშეკრულება№108

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(საქონლის შესყიდვა)

ქ.გორი 10 მაისი 2019 წელი

ერთის მხრივ, ს.ს.ი.პ. გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, მისი დირექტორის **გივი წვერავას** (შემდგომში - „შემსყიდველი“) სახით და მეორეს მხრივ, **შპს ,,ბლექ აი ბიუთი“ მისი დირექტორის მარიამ პავლიაშვილის ს/კ 418471950** (შემდგომში - „შემსრულებელი“) სახით, ვხელმძღვანელობთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება N13, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე 3 მუხლის 1 ნაწილის „ს[1]“ ქვეპუნქტისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა მე-8 მუხლის შესაბამისად, (მხარეთა შესყიდვაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერსთა კონფლიქტს) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია **CPV 33711400 - კოსმეტიკური პროდუქტების, კერძოდ: მსახიობებისთვის საგრიმიორო მასალების** საქონლის შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის აღწერა მოცემულია დანართში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს **180 (ას ოთხმოცი) ლარი.**

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.5. ანგარიშსწორება განხორციელდება საბიუჯეტო სახსრებით.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემდეგ მისამართზე: **ქ. გორი, ჭავჭავაძის N48ა,** ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

5.2. შემსრულებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. შემსრულებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.3. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია,

უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;

დ) თუ ცნობილი გახდა, რომ შემსრულებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისამდე.

მუხლი 13. სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე,ორ ეგზემპლიარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.

შემსრულებელი	**შემსყიდველი**
შპს ,,ბლექ აი ბიუთი“	**ს.ს.ი.პ გორის გ.ერისთავის სახელობის პროფესიული**
მისამართი: ქ. გორი, ჭავჭავაძის N48ა	**სახ. დრამატული თეატრი.**
საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ,,საქართველოს ბანკი“	**მისამართი: გორი ჭავჭავაძის ქ №24**
საბანკო კოდი: BAGAGE22	**ტელეფონი: 27-33-06**
ა/ანგარიში: GE40BG0000000101175067	**ს/კ: 217881424**
ს/კ 418471950	**სახელმწიფო ხაზინა**
მარიამ პავლიაშვილი	**თეატრის დირექტორი**
	გივი წვერავა
---	---
Mariam Pavliashvili Подписано цифровой подписью: Mariam Pavliashvili Дата: 2019.05.10 22:33:38 +04'00'	Givi Tsverava Подписано цифровой подписью: Givi Tsverava Дата: 2019.05.10 17:42:42 +04'00'

გორის გ. ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის

მიღება- ჩაბარების აქტი N108

ქ.გორი 10.05. 2019 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნმა: ერთის მხრივ სსიპ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი, მისმა დირექტორმა **გივი წვერავამ** ხოლო მეორეს მხრივ **შპს „ბლექ აი ბიუთი“ მისმა დირექტორმა მარიამ პავლიაშვილმა ს/კ 418471950** შევადგინეთ ეს აქტი მასზედ, რომ 2019 წლის 10 მაისს გაფორმებული ხელშეკრულების N108 პირობების გათვალისწინებით მიმწოდებელმა გადასცა, ხოლო შემსყიდველმა მიიღო **180 (ას ოთხმოცი)** ლარის ღირებულების საქონელი, კერძოდ – **CPV 33711400 - კოსმეტიკური პროდუქტების, კერძოდ: მსახიობებისთვის საგრიმიორო მასალები.**

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერით:

„ჩააბარა“ **მარიამ პავლიაშვილი**

Mariam Pavliashvili

Подписано цифровой подписью: Mariam Pavliashvili
Дата: 2019.05.10 22:35:17 +04'00'

„მიიღო“

თეატრის დირექტორი **გივი წვერავა**

Givi Tsverava

Подписано цифровой подписью: Givi Tsverava
Дата: 2019.05.10 17:43:13 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ხელშეკრულება N108, 10 მაისი 2019 წ.

შემსყიდველი"

ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი

“შემსრულებელი“
შპს ბლექ აი ბიუთი (418471950)

Mariam Pavliashvili

Подписано цифровой подписью: Mariam Pavliashvili
Дата: 2019.05.10 22:38:50 +04'00'

საქართველოს კანონი "სახელმწიფო შესყიდვების" შესახებ მე-8 მუხლის - "ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები"-ს შესაბამისად, ს.ს.ი.პ გორის გიორგი ერისთავის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორი გივი წვერავა ხელის მოწერით ადასტურებს, რომ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაში ზემოთ აღნიშნულ მიმწოდებელთან მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

თეატრის დირექტორი Givi Tsverava

Подписано цифровой подписью: Givi Tsverava
Дата: 2019.05.10 17:43:42 +04'00'

გივი წვერავა

CPV კოდებზე გაწერილი დანახარჯი

დანართი 1

ხელშეკრულება N108, 10 მაისი 2019 წ.

N	cpv - კოდი	დასახელება	ზ/ე	რ-ბა	ე/ფ	თანხა
1	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები Mac Matte Foundation ტონალური მუსი	ც	2	10	20
2	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები წებო წამწამების	ც	1	5	5
3	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები Jev ტონალური #25	ც	1	13	13
4	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები Jev Concealer	ც	1	8	8
5	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები Golden Rose Fixing Spray ფიქსატორი	ც	1	12	12
6	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები აცეტონი	ც	1	2	2
7	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები KiKo ჰაილაითერი	ც	1	8	8
8	33711400	კოსმეტიკური პროდუქტებიMery Key Loose Mineral ფხვიერი შიმერ ჰაილაითერი	ც	1	13	13
9	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები ADS ჩრდილი	ც	1	3	3
10	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები ალოეს მკვებავი	ც	1	4	4
11	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები მანიკური	ც	1	2	2
12	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები Ffleur ლაინერი	ც	2	5	10
13	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები წამწამები	ც	3	3	9
14	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები Chanel ტუში	ც	2	10	20
15	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები პინცეტი	ც	1	3	3
16	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები ბრონზერი	ც	1	10	10
17	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები ტუჩის კონტური	ც	4	3	12
18	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები ტუჩის ბლესკი	ც	3	3	9
19	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები ფუნჯების ნაკრები	ც	1	13	13
20	33711400	კოსმეტიკური პროდუქტები მყარი პომადა	ც	2	2	4

180

"შემსყიდველი"

Givi Tsverava

Подписано цифровой подписью: Givi Tsverava
Дата: 2019.05.10 17:44:10 +04'00'

" მიმწოდებელი"

Mariam Pavliashvili

Подписано цифровой подписью: Mariam Pavliashvili
Дата: 2019.05.10 22:36:39 +04'00'